პროექტი

საქართველოს კანონი

ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის მიზანი და რეგულირების სფერო

1. საქართველოს კანონი „ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს სხვა კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

2. ეს კანონი განსაზღვრავს კომპანიონ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, მათი მოვლა-პატრონობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის პირობებს, მათ მფლობელთა ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას კომპანიონი ცხოველების, როგორც ნერვული სისტემის მქონე მგრძნობიარე არსებების კეთილდღეობისა და დაცვის უზრუნველყოფის დარგში, კომპანიონ ცხოველთა მიმართ ჰუმანური მოპყრობის საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ მოთხოვნებს.

3. ამ კანონის მიზანია კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობის უზრუნველყოფა და მათი დაცვა, აგრეთვე ადამიანისა და კომპანიონი ცხოველების თანაარსებობის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა და ამასთან დაკავშირებული რისკების შეფასება და მართვა, კომპანიონი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვა.

4. ეს კანონი არ ვრცელდება შინაურ ფერმერულ და გარეულ ცხოველებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კომპანიონი ცხოველი - ცხოველი, რომელიც ადამიანს ჰყავს ესთეტიკური თუ სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ექვემდებარება ადამიანის მიერ მოვლას და რომელსაც არ იყენებენ სურსათის (მათ შორის, ხორცის, რძისა და კვერცხის), ბეწვის, ბუმბულის, ტყავის და სხვა ნებისმიერი ცხოველური პროდუქტის საწარმოებლად;

ბ) კომპანიონი ცხოველის მეპატრონე - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს კომპანიონი ცხოველი და კანონით დადგენილი შემთხვევებითა და პირობების დაცვით უზრუნველყოფს მის რეგისტრაციასა და იდენტიფიკაციას, მოვლა-პატრონობასა და შენახვას.

გ) პატრონიანი კომპანიონი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც ჰყავს მეპატრონი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), კონკრეტული მომენტისთვის იმყოფება ამ პირის, ან მის მიერ უფლებამოსილი პირის კონტროლქვეშ, ან რეგისტრირებულია როგორც საკუთრება;

დ) უპატრონო კომპანიონი ცხოველი - უსახლკარო ან მიუსაფარი ცხოველი, რომელიც არ იმყოფება მფლობელის ან მეპატრონის მეთვალყურეობისა და მზრუნველობის ქვეშ. ასევე, კომპანიონი ცხოველი რომელსაც ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანის შემდგომ, კანონით განსაზღვრული ვადითა და პირობებით არ დაუდგინდა მეპატრონის ვინაობა;

ე) მიკედლებული კომპანიონი ცხოველი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი ცხოველი, რომლის მეთვალყურეობას უზრუნველყოფს მიმკედლებელი;

ვ) უმეთვალყურეო კომპანიონი ცხოველი - ცხოველი, რომელსაც დროის კონკრეტულ მონაკვეთში არ უდგინდება მეპატრონე ან მიმკედელებელი, ასევე, გადაადგილდება მფლობელის მეურნეობის საზღვრებს მიღმა და ცხოველის მეპატრონის ან მიმკედლებლის დადგენის მიზნით ხორციელდება ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა;

ზ) კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი – გარკვეულ ტერიტორიაზე თავისუფლად ბინადარი კომპანიონი ცხოველის მეთვალყურე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უფლებამოსილ ორგანოში კომპანიონი ცხოველის რეგისტრაციის მომენტიდან აქვს აღებული ვალდებულება მისი კვება-დაწყურვების შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფაზე, მიკედლებულ კომპანიონ ცხოველთან დაკავშირებით დაინტერესებული პირისათვის საჭირო ინფორმაციის გაცემაზე, უფლებამოსილი ორგანოს დახმარებით ან საკუთარი სურვილით სხვა დაწესებულებაში კომპანიონი ცხოველის ვეტერინარული მომსახურების განხორციელებაზე;

თ) კომპანიონი ცხოველის მოვლა-პატრონობა – კომპანიონი ცხოველისთვის აუცილებელი საარსებო პირობების შექმნა: ვეტერინარის მიერ ვეტერინარისა და კინოლოგის/ფელინოლოგის მიერ დადგენილი რაციონით მისი კვება და დაწყურვება, საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით, რეგულარული გასეირნება, ვეტერინარული ზედამხედველობის უზრუნველყოფა და მომსახურება – დაავადებების პროფილაქტიკა, დიაგნოსტიკა, ცოფის და სხვა საშიში დაავადებების საწინააღმდეგო დროული ვაქცინაცია, ვეტერინარული მკურნალობა, ლაბორატორიული კვლევა და კომპანიონი ცხოველის აღზრდა სოციალიზაციის ვალდებულებით, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა პირობების უზრუნველყოფა;

ი) კომპანიონი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობები - შესაბამისი დოკუმენტებით დადასტურებული კომპანიონი ცხოველის მეპატრონის ხანგრძლივი, მძიმე ავადმყოფობა, კომპანიონი ცხოველის მეპატრონის საცხოვრებელი პირობების მკვეთრი გაუარესება, რაც შეუძლებელს ხდის შესაბამისი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით კომპანიონი ცხოველისთვის საცხოვრებელი ფართობის გამოყოფას, ხანგრძლივი პერიოდით ქვეყნის ფარგლებს გარეთ გამგზავრება, კომპანიონი ცხოველისგან მეპატრონის ხანგრძლივი პერიოდით იძულებითი მოცილება, კომპანიონი ცხოველის პატრონის ან მისი ოჯახის წევრის დაავადება, რომლის გამოც შეუთავსებელია კომპანიონ ცხოველთან თანაარსებობა, პირის მიერ კომპანიონი ცხოველის პატრონის სამკვიდროზე უარის თქმა ან სოციალურად დაუცველის სტატუსის მიღება.

კ) კომპანიონი ცხოველის პატრონის დადგენის ან ახალი პატრონის მოძიების ქმედითი ღონისძიებები - ოპტიმალურ ვადებში კომპანიონი ცხოველის ფოტოსურათების და მის შესახებ დეტალური ინფორმაციის (სახეობა, სქესი, ასაკი, ჯიში, გაწეული ვეტერინარული მომსახურება, მონაცემები პატრონისა და კომპანიონი ცხოველის მოვლა-პატრონობის პირობების შესახებ და სხვა) განთავსების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოში, სოციალურ ქსელებსა და მედია საშუალებებში;

ლ) კინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ძაღლების ჯგუფურ, ინდივიდუალურ და სპორტულ წვრთნას, ფსიქიკისა და ქცევის კორექციას (სოციალიზაციას), ფიზიკურ მომზადებას, მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას;

მ) ფელინოლოგიური დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს კატების ფიზიოლოგიური თავისებურებებისა და ქცევის შესწავლას, მათს მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურებას;

ნ) ვეტერინარული დაწესებულება - მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ვეტერინარულ მომსახურებას

(ცხოველთა სნეულებების პროფილაქტიკასა და მათს მკურნალობას, კომპანიონ ცხოველთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ სხვა მომსახურებას);

ო) კომპანიონი ცხოველის უმტკივნეულო მოკვდინება (ევთანაზია) - უფლებამოსილი პირის (ვეტერინარის) მიერ კომპანიონი ცხოველისათვის სიცოცხლის შეწყვეტა, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს კომპანიონი ცხოველების ჰუმანურად, მყისიერად და უმტკივნეულოდ მოკვდინებას ვეტერინარული პრეპარატების მეშვეობით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;

პ) კომპანიონი ცხოველის რეგისტრაცია – ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართვის საფუძველზე, უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების მიერ პატრონიანი ან მიკედლებული კომპანიონი ცხოველის პირველადი/საკონტროლო რეგისტრაცია (აღრიცხვა), ასევე ამ კანონით დადგენილი კომპანიონ ცხოველთა კლასიფიკაციის შესაბამისად სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა;

ჟ) კომპანიონი ცხოველის იდენტიფიცირება - კომპანიონი ცხოველების მარკირება უფლებამოსილი ორგანოს ან შესაბამისი ვეტერინარული, კინოლოგიური, ფელინოლოგიური დაწესებულების ან კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრის მიერ საგანგებო ნიშნით: სვირინგის, სპეციალური საჭდის, მიკროჩიპის ან საყელურის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია კომპანიონი ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომერი და პატრონის მონაცემები, ასევე, ფრინველის დარგოლვა;

რ) უფლებამოსილი ორგანო - მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობაზე მონიტორინგი და პოპულაციების მართვა-კონტროლის ორგანიზება, აღრიცხვა, დაკარგული კომპანიონი ცხოველების მოძიება და რომელიც თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ს) საბელი - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს პატრონისგან კომპანიონი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას;

ტ) მოკლე საბელი - ცხოველის გადაადგილების კონტროლის საშუალება, რომელიც ზღუდავს პატრონისგან კომპანიონი ცხოველის დაცილების შესაძლებლობას 1-1,5 მეტრის მანძილზე;

უ) ალიკაპი - მოწყობილობა, რომელიც ცხოველს უმაგრდება დრუნჩზე, ან თავზე და განკუთვნილია სხვა ცხოველებისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

ფ) გადამეტებული აგრესია - კომპანიონი ცხოველის იმგვარი ფსიქიური დისბალანსი, რომელიც საფრთხეს წარმოადგენს სხვა ცხოველის ან/და ადამიანისთვის და შეუძლებელს ხდის მის შემდგომ ინტეგრაციას;

ქ) კომპანიონი ცხოველის მოკვლა - კომპანიონი ცხოველისათვის სიცოცხლის აღკვეთა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გარეშე;

ღ) კომპანიონ ცხოველთა გასეირნება - კომპანიონი ცხოველისათვის აუცილებელი ფიზიკური დატვირთვის მიზნით, კომპანიონი ცხოველის ყოფნა არასაცხოვრებელ ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში მეპატრონის ან თანმხლები პირის მეთვალყურეობით;

ყ) კომპანიონი ცხოველების დაცვა - კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები;

შ) კომპანიონი ცხოველის მზრუნველი ან დროებითი შემფარებელი - პირი, რომელიც ფლობს კანონით დადგენილი ნორმების შესაბამის უძრავ ქონებას, სადაც მესაკუთრის ვინაობის დადგენამდე შეიფარებს უპატრონო კომპანიონ ცხოველებს ახალი პატრონისათვის გასხვისების

ან მის გამოჯანმრთელებამდე შეფარების მიზნით და ამ პერიოდის განმავლობაში კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს უპატრონო კომპანიონ ცხოველებზე დროებით მოვლა-პატრონობას;

ჩ) კომპანიონ ცხოველთა კომერციული მოშენება - კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, კომერციული მიზნით კომპანიონი ცხოველების რეპროდუქცია;

ც) ფუნქციური დანიშნულების ძაღლი - სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლი, რომლის უნარ-ჩვევებიც გამოიყენება დაცვის, მოძიების, სანიტარული და დივერსიული ფაქტების აღმოსაფხვრელად, ასევე სამწყემსო დანიშნულების ძაღლი;

ძ) კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარი - არაკომერციული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიონ ცხოველთა პოპულაციის მართვას და სადაც ხორციელდება უპატრონოდ დარჩენილი კომპანიონი ცხოველების მოვლა-პატრონობა ან/და პატრონის მოძიება;

ჭ) კომპანიონ ცხოველთა საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი - სპეციალიზირებული დაწესებულება, სადაც გამოჯანმრთელებამდე დროებით არის განთავსებული 10-ზე მეტი უმეთვალყურეო კომპანიონი ცხოველი, ტრავმირებული ან ისეთი კომპანიონი ცხოველები, რომლებიც ვეტერინარული სამსახურის მიერ კომპანიონ ცხოველთა გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით არიან მეთვალყურეობაში;

ხ) უმეთვალყურეო კომპანიონი ცხოველების დაჭერა - უმეთვალყურეო ცხოველების უფლებამოსილი ორგანოს მიერ ჰუმანური მეთოდით აყვანა და კომპანიონ ცხოველთა დროებით თავშესაფარში კანონით დადგენილი წესით მოთავსება;

ჯ) კასტრაცია - ხვადი კომპანიონი ცხოველის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჰ) სტერილიზაცია - ძუ კომპანიონი ცხოველისათვის გამრავლების უნარის შეწყვეტა;

ჰ[1]) დაჭერა - სტერილიზაცია - ვაქცინაცია - დაბრუნება - კომპანიონ ცხოველთა პოპულაციის ჰუმანური გზით მართვის პროგრამა, რომელიც გულისხმობს კომპანიონ ცხოველთა დაჭერას, მათს ოპერაციული ან ქიმიური საშუალებებით უსაფრთხო კონტრაცეფციას, ანტირაბიულ ვაქცინაციას, პირვანდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებასა და ცოფის პრევენციას;

ჰ[2]) კომპანიონი ცხოველის გასხვისება - კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრის, სხვა ორგანიზაციის ან კერძო პირის მიერ კომპანიონი ცხოველის კანონით დადგენილი წესით გადაცემა პასუხისმგებელი კერძო პირისათვის;

ჰ[3]) ცხოველთა ორთაბრძოლა - ცხოველის შებრძოლება თავისივე ან სხვა სახეობის ცხოველთან, ან ადამიანთან, შეჯიბრების, დაკბენისა და ორთაბრძოლის მიზნით;

თავი II

კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის ხელშეწყობა

მუხლი 3. კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითადი პრინციპები

1. ყველა კომპანიონ ცხოველს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა იარსებოს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში.

2. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის მიტოვება ან უმიზეზოდ, გაუმართლებლად მოკვლა.

3. მკვდარ კომპანიონ ცხოველს არ უნდა მოეპყრან უკადრისად.

4. კომპანიონი ცხოველის გამოყენების ნებისმიერი ფორმა და გამრავლების ნებისმიერი სახე უნდა პასუხობდეს სახეობისთვის დამახასიათებელ ფიზიოლოგიურ და ქცევით ნორმებს.

5. ნებისმიერი ქმედება, მიმართული კომპანიონი ცხოველის რომელიმე სახეობის განადგურებისკენ არის დანაშაული მიმართული კონკრეტული სახეობის წინააღმდეგ და იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 4. კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა

1. კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობა მოიცავს მათთვის ფიზიოლოგიური და ეტიოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებას, ორგანიზმის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

2. ამ კანონის მიზნებისათვის კომპანიონი ცხოველისათვის აუცილებელი გონივრული საჭიროებები მოიცავს:

ა) სათანადო კვებასა და დაწყურვებას;

ბ) კომპანიონი ცხოველისათვის კეთილსაიმედო გარემოს შექმნას; საძილე ადგილის გამოყოფა - მოწყობას, დათბუნებასა და განათებას;

გ) კომპანიონი ცხოველის გასეირნებასა და სათანადო ფიზიკური აქტივობით დატვირთვას;

დ) დროულ და სათანადო სამედიცინო - ვეტერინარული მომსახურეობას;

ე) კომპანიონი ცხოველისთვის სათანადო სანიტარიულ - ჰიგიენური პირობების შექმნას;

ვ) კომპანიონი ცხოველისათვის აუცილებელი შესაბამისი საწვრთნელი საშუალებების ხელმისაწვდომობასა და მათი სოციალიზაციას;

3. დაუშვებელია დამახასიათებელი ჩვეული და ინსტიქტური ქცევის შეზღუდვა, ადამიანებთან და მისივე სახეობის კომპანიონ ცხოველებთან ურთიერთობის შეზღუდვა, თუ ასეთი ქცევა საფრთხეს არ უქმნის გარშემომყოფებს.

4. კომპანიონი ცხოველების კეთილდღეობისა და დაცვის წინააღმდეგ არ არის მიმართული:

ა) კომპანიონი ცხოველების დაჭერა, სტერილიზაცია, კასტრაცია, ქიმიური საშუალებებით უსაფრთხო კონტრაცეფცია, ანტირაბიული ვაქცინაციისა და დაბრუნების პროგრამა;

ბ) კომპანიონ ცხოველთა მოკვდინება (ევთანაზია) უკურნებელი დაავადებისას ან/და ცხოველთა თუ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებულად საშიში დაავადებების აღკვეთის მიზნით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;

გ) კომპანიონი ცხოველის მოკვდინება (ევთანაზია) საგანგებო სიტუაციებში, როცა მიზანშეწონილია მძიმედ დაჭრილი ან დაავადებული კომპანიონი ცხოველის ტანჯვის დასრულება;

დ) კომპანიონი ცხოველის მოკვლა ადამიანზე განხორციელებული თავდასხმისას, უკიდურესი აუცილებლობის და აუცილებელი მოგერიების დროს;

მუხლი 5. კომპანიონი ცხოველის მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელი მოთხოვნები

1. ნებისმიერი პირი, ვინც უვლის ან პატრონობს კომპანიონ ცხოველს, პასუხისმგებელია მის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, უნდა განახორციელოს ყველა გონივრული ქმედება, რათა თავიდან აიცილოს კომპანიონი ცხოველის გაქცევა ან დაკარგვა.

2. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს მის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული კომპანიონი ცხოველის შთამომავლობის მოვლა - პატრონობა, ან გასხვისება.

3. მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად გაუშვას გასასეირნებლად კომპანიონი ცხოველები თავის ნაკვეთში, თუ ტერიტორია უსაფრთხოდ იქნება შემოსაზღვრული, შესასვლელთან ექნება გამაფრთხილებელი წარწერა და კომპანიონი ცხოველები მოკლებული იქნებიან შესაძლებლობას ზიანი მიაყენონ ამ ტერიტორიის მიღმა მყოფი პირების სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და ქონებას.

4. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის მუდმივად დაბმულ მდგომარეობაში ყოლა ან/და მოკლე საბელის ხანგრძლივად გამოყენება.

5. კომპანიონი ცხოველის შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომისა და კომპანიონი ცხოველის პატრონის მიმართვის შემთხვევაში, კომპანიონი ცხოველის გადაყვანას კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარში უზრუნველყოფს კომპანიონი ცხოველის პატრონი ან უფლებამოსილი ორგანო, ხოლო ვეტერინარული სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ვეტერინარულ გამოკვლევასა და მკურნალობას. ამასთან, კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარში ცხოველის ჩაბარებამდე, პატრონი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია ქმედითი ღონისძიებები გაატაროს კომპანიონი ცხოველისათვის ახალი პატრონის მოძიების მიზნით.

6. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის 18 წლამდე ასაკის პირზე ან 18 წლამდე ასაკის პირის მიერ გაჩუქება, თუ არ არსებობს მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

7. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის გადაცემა ჯილდოს, პრიზის ან პრემიის სახით.

8. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის საკვებად გამოყენება ან/და მისგან პრეპარატებისა და ქიმიური საშუალებების დამზადება.

9. კომპანიონი ცხოველის გვამი უნდა დაიმარხოს სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, ან მოხდეს მისი კრემაცია, ან მოთავსება ბიოთერმულ ორმოში.

10. ავტოსაგზაო შემთხვევისას გაუფრთხილებლობით დაშავებული კომპანიონი ცხოველი, სატრანსპორტო საშუალების მძღოლის მიერ გადაყვანილ უნდა იქნას უახლოეს ვეტერინარულ დაწესებულებაში. მას ეკისრება კომპანიონი ცხოველის ვეტერინარული მომსახურების ფინანსური უზრუნველყოფა.

11. დაუშვებელია პირის საკუთრებაში 10 კომპანიონ ცხოველზე მეტის ყოლა.

მუხლი 6. კომპანიონ ცხოველთა გასეირნება

1. ძაღლების, დეკორატიული ჯიშის გარდა (დანართი 1), გასეირნება საზოგადოებრივ ადგილებში (ქუჩები, სტადიონები, სკვერები, პარკები და სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები), ნებადართულია მხოლოდ მოკლე საბელით ან საბელითა და ალიკაპით.

2. კომპანიონი ცხოველის მიერ საზოგადოებრივი სივრცის დაბინძურების შემთხვევაში, კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია უზრუნველყოს საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავება.

3. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველების შეყვანა სასურსათო მაღაზიებში, აფთიაქებში, საავადმყოფოებში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და დაწესებულებებში, თუკი ამისათვის დაწესებულებებს გააჩნია შესაბამისი აკრძალვის ნიშანი. მსგავსი ნიშნის არსებობის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის მისაბმელი ძელის დაცულ ფართზე განთავსება.

მუხლი 7. კომპანიონ ცხოველთა ტრანსპორტირება

1. კომპანიონ ცხოველთა ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ნებისმიერი საზოგადოებრივი ტრანსპორტი, თუკი უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია.

2. კომპანიონი ცხოველების ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მოკლე საბელითა და ალიკაპით ან კომპანიონ ცხოველთა გადასაყვანი კონტეინერით, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ზომის, ბუნების და მოგზაურობის გრაფიკის შესაბამისი მოცულობითა და პირობებით.

3. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველის მოთავსება მანქანის საბარგულში ან მანქანის დახურულ სივრცეში, ამავე სივრცეში საჰაერო ცირკულაციის არ არსებობის პირობებში.

მუხლი 8. კომპანიონ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნები

1. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია ყოველწლიურად უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის ვეტერინარული შემოწმება, იმუნიზაცია (მათ შორის ანტირაბიული), საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში სრული ვეტერინარული მკურნალობა.

2. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს შესაბამის ვეტერინარულ დაწესებულებას ან უფლებამოსილ ორგანოს, საკუთრებაში ან მფლობელობაში მყოფი კომპანიონი ცხოველის მიერ ადამიანის ან/და ცხოველის დაკბენის/დაკაწვრის ფაქტის შესახებ და წარადგინოს კომპანიონი ცხოველი ვეტერინარულ დაწესებულებაში ან უფლებამოსილ ორგანოში, კომპანიონ ცხოველზე ვეტერინარული ზედამხედველობის დაწესების მიზნით. ასევე, წარმოადგინოს კომპანიონი ცხოველის ვეტერინარული მოწმობა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ვეტერინარული ზედამხედველობის ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს კომპანიონი ცხოველის პატრონი.

3. კომპანიონი ცხოველის დაავადების შემთხვევაში, კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ვეტერინარულ დაწესებულებას, რომელიც ადამიანისა ან/და ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში განსაზღვრული დაავადების დადგენის შემთხვევაში, ვალდებულია უზრუნველყოს:

ა) კომპანიონი ცხოველის მოკვდინება (ევთანაზია), ხოლო მის შემდგომ დამარხვა/კრემაცია/ მოთავსებას ბიოთერმულ ორმოში უზრუნველყოფს უფლებამოსილი ორგანო;

ბ) კომპანიონი ცხოველის პატრონის მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი მკურნალობის ჩატარება;

გ) კომპანიონი ცხოველის კვლევის, მკურნალობის, მოკვდინებისა (ევთანაზიის) და დამარხვის/კრემაციის/ბიოთერმულ ორმოში მოთავსების ხარჯებს ანაზღაურებს კომპანიონი ცხოველის პატრონი;

4. თუ კომპანიონი ცხოველის პატრონი გადახდისუუნაროა, ხარჯების დაფარვის ვალდებულება აკისრია იმ ტერიტორიული ერთეულის უფლებამოსილ სამსახურს, რომლის იურისდიქციაშიც ხორციელდება მომსახურება.

მუხლი 9 . კომპანიონ ცხოველთა ვეტერინარული მომსახურება

1. კომპანიონ ცხოველებს ქირურგიული ოპერაციები, სამედიცინო მომსახურება ან სხვა სახის ვეტერინარული პროცედურები უტარდებათ მხოლოდ ვეტერინარის მიერ, მხოლოდ გაუტკივარებით. აკრძალულია მიორელაქსანტის მტკივნეული პროცედურების ჩატარება.

2. აკრძალულია ჩვენებებისა და სხვა არასამკურნალო მიზნით ან ფუნქციური დანიშნულების მიზნის გარეშე კომპანიონი ცხოველებისათვის ქირურგიული ოპერაციების ჩატარება, კერძოდ:

ა) კუდის მოჭრა;

ბ) ყურების დაჭრა;

გ) სმენის დაქვეითება;

დ) ნისკარტის, ბიბილოსა და ფრთების მოჭრა;

ე) კბილებისა და ეშვების ამოღება;

ვ) კლანჭების ოპერაციული ამოკვეთა;

ზ) ხმის იოგების გადაჭრა;

მუხლი 10. კომპანიონ ცხოველთა დაცვა სასტიკი მოპყრობისაგან

1. დაუშვებელია კომპანიონ ცხოველთა მიმართ სასტიკი მოპყრობა და წამება, მსგავსი ქმედებების ნებისმიერი ხელშეწყობა, კომპანიონი ცხოველისადმი ძალადობისკენ მოწოდება.

2. კომპანიონ ცხოველთა მიმართ სასტიკ მოპყრობად და წამებად ითვლება:

ა) კომპანიონი ცხოველის ცემა გაწვრთნის მიზნით ან ისეთი ქმედება, რომლის შედეგდაც კომპანიონ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს და რომელიც გამოიწვევს კომპანიონი ცხოველის მენტალურ ტანჯვას, ფიზიურ ტრავმას ან დასახიჩრებას;

ბ) კომპანიონ ცხოველთა გაგდება და მიტოვება;

გ) კომპანიონი ცხოველების გამოყენება სამიზნეებად;

დ) საჭიროების შემთხვევაში კომპანიონი ცხოველისათვის ვეტერინარული დახმარების აღმოუჩენლობა;

ე) კომპანიონ ცხოველებზე ანესთეზიის გარეშე ჩატარებული ქირურგიული ოპერაციები.

ვ) ვეტერინარული პროცედურები, რომელთა მიზანია კომპანიონი ცხოველის გარეგნობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლა (ყურების, ყბის ძვლის, ბიბილოს, ნისკარტის, კუდის მოჭრა, ხმის სიმების, კლანჭების, ფრთების, ჩლიქებისა და ეშვების დამახინჯება ან მოცილება, ბუმბულის მოგლეჯა, სმენის დაქვეითება და სხვა), ასევე, კომპანიონი ცხოველის სხეულის ნაწილის, რბილი ქსოვილების ან/და ძვლების, სტრუქტურის შეცვლა; გამონაკლისს წარმოადგენს კომპანიონი ცხოველის სტერილიზაცია და კასტრაცია ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და კომპანიონ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, ვეტერინარის გადაწყვეტილებით განხორციელებული ვეტერინარული პროცედურები;

ზ) კომპანიონი ცხოველის წვრთნის პროცესში მისი აგრესიისკენ მოწოდება და წახალისება მისივე სახეობის, თუ სხვა ცხოველის ან/და ადამიანების საწინააღმდეგოდ, გარდა სამსახურეობრივი წვრთნის შემთხვევებისა;

თ) კომპანიონი ცხოველების ყოლა ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეესაბამება მათს სახეობას, ასაკს, ფიზიოლოგიურ და ბუნებრივ ქცევას;

ი) კომპანიონი ცხოველების გამოყენება რეკლამებში, კინოგადაღებებში, ფოტოგრაფიაში, გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში, სადაც კომპანიონ ცხოველებს ადგება ტკივილი, შიში, სტრესი, ტანჯვა და თუ ასეთი ღონისძიებების დროს კომპანიონ ცხოველს აიძულებენ გასცდნენ ბუნებრივი შესაძლებლობების ზღვარს, ან სადაც კომპანიონი ცხოველი შეიძლება დასახიჩრდეს ფიზიკურად ან მენტალურად;

კ) ზოოფილური აქტები კომპანიონ ცხოველებთან;

ლ) კომპანიონი ცხოველების გამოყენება სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტებისათვის და ლაბორატორიული ცდების ჩატარება მათზე, გარდა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა;

მ) სხვა ქმედებები, რომლებიც იწვევს კომპანიონი ცხოველის ტანჯვას.

თავი III

კომპანიონ ცხოველთა მოშენება და გამოყენება. მათი მოკვდინება (ევთანაზია)

მუხლი 11. კომპანიონი ცხოველების მოშენება

1. კომპანიონი ცხოველების მოშენება უნდა იყოს მიზნობრივი, გეგმაზომიერი და წინასწარ განსაზღვრული.

2. ყველა პირი, რომელიც ეწევა სელექციას კომპანიონ ცხოველთა გამრავლების მიზნით, პასუხისმგებელია კომპანიონი ცხოველისა და მისი ნაყარის ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და კეთილდღეობის მახასიათებლებზე, რათა რისკის ქვეშ არ დააყენოს ნაყარის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.

3. აკრძალულია გენეტური სნეულებების, თანდაყოლილი ხარვეზებისა და პათოლოგიების მქონე გენეტიკურად არასრულფასოვანი კომპანიონი ცხოველების გამრავლება.

4. აკრძალულია გარეული ცხოველების შეჯვარება კომპანიონ ცხოველებთან.

5. ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან კომპანიონი ცხოველების კომერციულ მოშენებას და მათ პერმანენტულ რეალიზაციას, სავალდებულოა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დარეგისტრირდნენ ბიზნესოპერატორებად.

მუხლი 12. კომპანიონ ცხოველთა გამოყენება

1. კომპანიონი ცხოველების გამოყენება სანახაობისათვის, სპორტულ, გასართობ ან სხვა ღონისძიებებში დასაშვებია ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესების დაცვით:

ა) ორგანიზატორი ვალდებულია თითოეული კომპანიონი ცხოველისათვის შექმნას უსაფრთხოების ყველა საჭირო პირობა, რათა რისკის ქვეშ არ დადგეს კომპანიონი ცხოველის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა;

ბ) დაუშვებელია კომპანიონი ცხოველისთვის ნებისმიერი ქიმიური პრეპარატის მიღება, გარკვეული პროცედურის ჩატარება ან ხელსაწყოს გამოყენება, მისი ბუნებრივი შესაძლებლობების ამაღლების მიზნით;

2. კომპანიონი ცხოველების საცირკო სანახაობებში მონაწილეობისათვის აუცილებელია ცირკი ფლობდეს ვეტერინალურ სერტიფიკატს და საქმიანობა შეესაბამებოდეს ამ სერტიფიკატის მოთხოვნებს.

3. ცირკის მენეჯერებმა, კინოფილმების და რეკლამების შემქმნელებმა, გამოფენების, კონკურსების და სხვა ღონისძიებების ორგანიზატორებმა უნდა აცნობონ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ვეტერინარულ დაწესებულებას და იმ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, სადაც ჩატარდება ხსენებული ღონისძიება.

4. უსაფრთხოების ზომების მიღების გარეშე დაუშვებელია კომპანიონი ცხოველების მონაწილეობით მასობრივი ღონისძიებების ჩატარება საბავშვო მოედნებზე, სკოლამდელ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათთან დაკავშირებულ ტერიტორიებზე.

5. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობის პროპაგანდა, დემონსტრაციების მოწყობა, აუდიოვიზუალური თუ სხვა სახის პროდუქციის გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს კომპანიონი ცხოველებისადმი სასტიკ მოპყრობას.

მუხლი 13. კომპანიონ ცხოველთა მოკვდინება (ევთანაზია)

1. კომპანიონ ცხოველთა მოკვდინება დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, მათთვის ფიზიკური ტკივილისა და ფსიქოლოგიური ტანჯვის მიყენების გარეშე, სპეციალური მედიკამენტების გამოყენებით, ამ კანონით გათვალისწინებული წესითა და შემთხვევებში.

2. დასაშვებია იმ კომპანიონ ცხოველთა მოკვდინება, რომელთაც კლინიკური კვლევებით ან დაკვირვების შესაბამის პირობებში, ვეტერინარი ან/და კინოლოგი დაუდგენს:

ა) აგრესიულ ქცევას, რომელიც არ იძლევა კომპანიონი ცხოველის თანაარსებობის საშუალებას ადამიანთან ან/და სხვა ცხოველებთან ურთიერთობის პირობებში, მათ შორის იდიოპათიურ აგრესიას (უცაბედი სიბრაზის სინდრომი);

ბ) ადამიანებისა და/ან ცხოველებისათვის საშიშ უკურნებელ დაავადებას;

გ) ძლიერ ტრავმებს და/ან დაზიანებებებს, რომლებიც არათავსებადია სიცოცხლესთან;

დ) III – IV სტადიის ონკოლოგიურ დაავადებებს;

ე) დამბლას, პარეზს და სხვა განუკურნებელ დაავადებებს;

ვ) შეუქცევად დაუძლურებას, მათ შორის სიბერის პროცესის გაღრმავების შედეგად;

ზ) სიცოცხლეთან შეუთავსებელ ფიზიოლოგიურ ნაკლს (ახალშობილებში).

3. კომპანიონი ცხოველების მოკვდინება დასაშვებია:

ა) ვეტერინარული პრაქტიკის მქონე პირის მიერ, მხოლოდ იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც კომპანიონი ცხოველი კრიტიკულ მდგომარეობაშია და აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად გათავისუფლდეს ტანჯვისაგან, ან შეუძლებელია ვეტერინარის ან სხვა კომპეტენტური პირის დროული ჩარევა.

ბ) მხოლოდ ვეტერინარული პრეპარატებით;

გ) ისეთი საშუალებების გამოყენებით, რაც კომპანიონ ცხოველს მიაყენებს შეძლებისდაგვარად მცირე ფიზიკურ და სულიერ ტკივილს;

დ) მეთოდით, რომელიც გამოიწვევს კომპანიონი ცხოველის უშფოთველ სიკვდილს, საწყისს ეტაპზე მძლავრი გაუმტკივარების ეფექტით, რომელიც გადაიზრდება სრული სიკვდილის გამომწვევ პროცედურაში.

4. დაუშვებელია კომპანიონი ცხოველების მოკვდინება შემდეგი არაჰუმანური მეთოდებით:

ა) გაგუდვა ან სხვ მსგავსი ქმედება;

ბ) მომწამვლელი ნივთიერების ან პრეპარატის გამოყენება;

გ) ელექტროშოკის გამოყენება, რაც იწვევს ინდუქციური მეთოდით გონების მოულოდნელ დაკარგვას;

დ) დახრჩობა;

ე) სასიკვდილო მექანიკური დაზიანების მიყენება;

ვ) იძულებითი შიმშილი, წყურვილი;

ზ) პნევმატური, ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“და მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ვ“და მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტებით, „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“

ქვეპუნქტით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14[4] მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

თ) სხვა არაჰუმანური მეთოდები;

5. მოკვდინების პროცედურის დასრულების შემდეგ, ვეტერინარი უნდა დარწმუნდეს, რომ კომპანიონი ცხოველი მკვდარია, რის შემდგომაც დასაშვებია სანიტარული ნორმების დაცვით კომპანიონი ცხოველის ლეშის დამარხვა, კრემაცია, ბიოთერმულ ორმოში მოთავსება, პათანატომიური გამოკვლევა.

6. დაუშვებელია ჯანმრთელი კომპანიონი ცხოველის ევთანაზია.

თავი IV

უმეთვალყურეო, უპატრონო კომპანიონი ცხოველები. უპატრონო კომპანიონი ცხოველების პოპულაციის მართვა და კონტროლი. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრები.

მუხლი 14. უმეთვალყურეო, უპატრონო კომპანიონი ცხოველების დაჭერა

1. უმეთვალყურეო, უპატრონო კომპანიონი ცხოველების დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ჰუმანური მეთოდებით, სპეციალური ლასო ან ბადით. დაუშვებელია რკინის მაშის გამოყენება. მეძუძური კომპანიონი ცხოველების დაჭერა დასაშვებია მხოლოდ ნაყართან ერთად.

2. კომპანიონი ცხოველისაგან ადამიანების ან/და ცხოველებისათვის მომდინარე საფრთხეების თავიდან აცილებისა და კომპანიონი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის მიზნით, ამ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მოახდინოს კომპანიონი ცხოველების დაჭერა, ან/და კასტრაცია, სტერილიზაცია - ვაქცინაციის პროგრამა, როდესაც:

ა) ხორციელდება კომპანიონი ცხოველის გადაყვანა თავშესაფარში პოპულაციის მართვის მიზნით;

ბ) სახეზეა ადამიანისა ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის მატარებელი და მომეტებული აგრესიის აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე კომპანიონი ცხოველები;

გ) სახეზეა ადამიანის ან/და ცხოველების სიცოცხლისა ან/და ჯანმრთელობისათვის საფრთხის მატარებელი, განსაკუთრებულად საშიში დაავადებების აშკარად გამოხატული ნიშნების მქონე კომპანიონი ცხოველები;

დ) სახეზეა უმეთვალყურეო კომპანიონი ცხოველები, რომლებმაც მოახდინეს ადამიანის ან ცხოველის დაკბენა/დაკაწვრა; დაკვირვებისა და საკარანტინე ვოლიერში განთავსების მიზნით, შემდგომი პროცედურების გატარების გატარებამდე;

ე) სახეზეა სავარაუდოდ დაკარგული ან უპატრონოდ/მეთვალყურეობის გარეშე მიტოვებული კომპანიონი ცხოველები, რომელთა გარეგანი მახასიათებლები ან/და იდენტიფიკაციის ვიზუალური ნიშნები ან/და ქცევითი თავისებურებები მიუთითებენ, რომ კომპანიონ ცხოველს შესაძლოა ჰყავს პატრონი;

ვ) ცხოველი ტრავმირებულია;

3. უმეთვალყურეო, უპატრონო კომპანიონი ცხოველები დაჭერის შემდეგ ექვემდებარებიან დროებით თავშესაფარში ან ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარში მოთავსებას.

4. დაუშვებელია ავადმყოფი და დასახიჩრებული კომპანიონი ცხოველების საბოლოო განკურნებამდე მათი დაბრუნება დაჭერის ადგილზე, თუკი მათ არ ჰყავთ მეთვალყურე და მათი უსაფრთხოება არ არის უზრუნველყოფილი.

მუხლი 15. უპატრონო კომპანიონი ცხოველების პოპულაციის მართვა და კონტროლი

1. ურბანულ გარემოში ბინადარი უპატრონო კომპანიონი ცხოველების პოპულაციების მართვა და კონტროლი, მათზე ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება და ამ კანონით განსაზღვრული სხვა მიზნების უზრუნველყოფა უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება.

2. კომპანიონი ცხოველების პოპულაციების მართვის ძირითადი და პრიორიტეტული მეთოდია კომპანიონი ცხოველების შობადობის შემცირების უზრუნველყოფა სტერილიზაცია/კასტრაციის ან უსაფრთხო ქიმიური საშუალებებით კონტრაცეფციის გზით.

3. კომპანიონი ცხოველების პოპულაციების მართვა-კონტროლის ამოცანების უზრუნველყოფის მიზნით, უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია თანმიმდევრობით მოახდინოს:

ა) კომპანიონი ცხოველების ჰუმანური მეტოდებით დაჭერა და იზოლაცია;

ბ) კომპანიონი ცხოველების ჯანმრთელობის მდგომარეობის (კლინიკური და ლაბორატორიული კვლევით) და ქცევითი თავისებურებების (დაკვირვების შესაბამის პირობებში და სპეციალური მეთოდიკით) დადგენა;

გ) ჯანმრთელი და არააგრესიული კომპანიონი ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაცია;

დ) კომპანიონი ცხოველების პოსტოპერაციული რეაბილიტაცია;

ე) კომპანიონი ცხოველების ანტირაბიული და კომპლექსური ვაქცინაცია;

ვ) კომპანიონი ცხოველების მიკედლება, ან ბინადრობის პირვანდელ გარემოში დაბრუნება.

4. უფლებამოსილი ორგანო, კომპეტენციის ფარგლებში, მაქსიმალურად ატარებს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ფიზიკურად ჯანმრთელი და არააგრესიული უპატრონო კომპანიონი ცხოველების სხვა კატეგორიაში გადაყვანაზე, მათთვის ახალი პატრონის მოძიების ან მიკედლების უზრუნველყოფაზე.

5. დაუშვებელია ცხოველის დაბრუნება გზასთან ახლოს და დაუსახლებელ ადგილებში.

მუხლი 16. კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი

1. კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი ვალდებულია:

ა) თვალყური ადევნოს მიკედლებული ცხოველის მდგომარეობას, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების საჭიროების შესახებ;

ბ) ერთ კვირაზე მეტი ვადით ცხოველის გაუჩინარების მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება;

გ) უფლებამოსილი ორგანოს შეკითხვის შემთხვევაში გასცეს ინფორმაცია მიკედლებული ცხოველის მდგომარეობაზე;

დ) მიკედლებული ცხოველის მეთვალყურეობაზე საკუთარი სურვილით უარის თქმის შემთხვევაში მოახდინოს უფლებამოსილი ორგანოს ინფორმირება და კონკრეტულ ცხოველზე მიმკედებლის სტატუსის მოხსნამდე განაგრძოს მიკდელებული ცხოველის მეთვალყურეობა;

ე) შესაძლებელია კომპანიონ ცხოველს ჰყავდეს ერთზე მეტი მიმკედლებელი;

2. კომპანიონი ცხოველის მიმკედლებელი უფლებამოსილია უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიკედლებული ცხოველისთვის საჭირო ვეტერინარული მომსახურების ან/და ტრანსპორტირების მომსახურება მიიღოს უსასყიდლოდ.

3. უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მიკედლებული ცხოველის ტრანსპორტირება ან/და გადაყვანა მოახდინოს მიმკედლებლის თანხმობით.

მუხლი 17. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრები

1. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრები იქმნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე მუნიციპალიტეტის მიერ, ასევე, ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

2. თავშესაფარში კომპანიონი ცხოველის გადაყვანისთანავე, ის უნდა განთავსდეს კარანტინში, შემოწმდეს ვეტერინარის მიერ და 24 საათის განმავლობაში უნდა ჩაუტარდეთ ვეტერინარულ/ლაბორატორიული კვლევა და დეგელმინტიზაცია. კარანტინში ცხოველის დაყოვნების ვადა შეადგენს მინიმუმ 10 დღეს და დამატებითი საჭიროების შემთხვევაში, ვეტერინარი წყვეტს ამ ვადის გაგრძელების აუცილებლობას.

3. თავშესაფარებში უმეთვალყურეო, უპატრონო კომპანიონი ცხოველების მოთავსების შემდეგ ხდება მათი იდენტიფიკაცია. დგინდება კომპანიონი ცხოველის მეპატრონის ვინაობა და მის მიერ შენახვის ხარჯების ანაზღაურების შემდეგ უბრუნდება კომპანიონი ცხოველი.

4. თუ 2 თვის ვადაში დადგენილი ვერ იქნა უმეთვალყურეო, უპატრონო კომპანიონი ცხოველის მეპატრონე, ან კომპანიონი ცხოველის პატრონი შემდგომი სათანადო მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების გამო უარს აცხადებს კომპანიონი ცხოველის მიღებაზე, კომპანიონი ცხოველი შეიძლება გაჩუქდეს; ასევე, დაშვებულია მათი პირვანდელი ბინადრობის არეალში გაშვება სტერილიზაციის, კასტრაციის, რეგისტრაციის, იდენტიფიკაციისა და ვაქცინაციის შემდეგ.

5. იმ შემთხვევაში, თუ თავშესაფარში აღინიშნება ცხოველისთვისა და ადამინისთვის საშიში დაავდების გავრცელების საფრთხე, თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს შესაბამის ორგანოებთან და ჩაატაროს დეზინფექციის ღონისძიება, დაავადების აღმოფხვრამდე თავშესაფარში ცხადდება კარანტინი და ტადრება საკარანტინე ღონისძიებები.

6. თუკი თავშესაფრიდან გამოსულ კომპანიონ ცხოველს საკარანტინე პერიოდის განმავლობაში გამოუვლინდება ინფექციური დაავადება, თავშესაფარი ვალდებულია, უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება ან განმეორებითი მკურნალობა.

7. ნებისმიერი პირი უფლებამოსილია დაათვალიეროს თავშესაფარი და თავისუფლად მოახდინოს ფოტო/ვიდეო გადაღება, მიიღოს ინფორმაცია განთავსებულ ცხოველებთან დაკავშირებით.

8. დაუშვებელია თავშესაფარში კომპანიონი ცხოველების გამრავლება და გაყიდვა.

მუხლი 18. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფრების მოწყობის სტანდარტები

1. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარს უნდა გააჩნდეს კომპანიონ ცხოველთა:

ა) ლაბორატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბეწვის, ნაცხის, ფეკალიისა და სისხლის კვლევას, ან ლაბორატორიული კვლევის უზრუნველყოფის ქმედითი შესაძლებლობა ან ჰქონდეს დადებული ხელშეკრულება ვეტერინარული დაწესებულებასთან, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცედურებს.

ბ) ვეტერინარული სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის დანიშნულებით განსაზღვრული აუცილებელი ვეტერინარული ოპერაციების ჩატარებას, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში თავშესაფარი ვალდებულია ითანამშრომლოს ვეტერინარულ დაწესებულებასთან;

გ) საკარანტინო სივრცე ან ვოლიერები, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფარში ახლადშემოყვანილი კომპანიონი ცხოველის იზოლაციას სხვა კომპანიონი ცხოველებისგან, ლაბორატორიული კვლევის შედეგად კომპანიონი ცხოველის ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენამდე, ან დაავადებული კომპანიონი ცხოველის განკურნებამდე, თავშესაფრიდან გაყვანამდე, მოკვდინებამდე (ევთანაზიამდე);

დ) განთავსების სივრცე ან/და ვოლიერები;

ე) გასეირნების უზრუნველყოფისათვის საკმარისი სივრცე;

2. კომპანიონ ცხოველთა დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) უზრუნველყოფილი იყოს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმებით;

ბ) უზრუნველყოფილი იყოს კომპანიონ ცხოველთა ყოფა-ცხოვრებისათვის აუცილებელი მინიმალური პირობებით - სათანადო კვება, დაწყურვება, სისუფთავე, დათბუნება, განათება;

გ) ძაღლის განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს კომპანიონ ცხოველს გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას. ვოლიერის ფართი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 3 კვადრატულ მეტრს, სიმაღლე - მინიმუმ 150 სანტიმეტრს, თითო ვოლიერში დასაშვებია 2 ძაღლის განთავსება;

დ) კატების განთავსების ვოლიერის სივრცე უნდა აძლევდეს კომპანიონ ცხოველს მინიმალური გადაადგილების, საკვების მიღებისა და გადამუშავების შესაძლებლობას;

ე) ვოლიერი არ უნდა იყოს ოთხმხრივად დახურული და კომპანიონ ცხოველს არ უნდა ეზღუდებოდეს თავისუფალი სივრცის ხედვის შესაძლებლობა.

3. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარი, მინიმუმ 300 მეტრით უნდა იყოს დაშორებული საცხოვრებელი ტერიტორიიდან, საწარმო ობიექტებიდან და დაწესებულებებიდან, ხოლო კომპანიონ ცხოველთა საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრის განთავსება შესაძლებელია ახლომდებარე ობიექტებისა და მეზობლების თანხმობის საფუძველზე;

4. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია აწარმოოს კომპანიონ ცხოველთა აღრიცხვა და უზრუნველყოს უფლებამოსილ ორგანოში უსასყიდლოდ, ყოველთვიურად ან დაუყოვნებლივ მოთხოვნის შემთხვევაში, თავშესაფარში კომპანიონ ცხოველთა ბრუნვის ამსახველი სტატისტიკური მონაცემების წარდგენა.

5. კომპანიონ ცხოველთა თავშესაფარი ვალდებულია უზრუნველყოს უკლებლივ ყველა კომპანიონი ცხოველის სტერილიზაცია, თუკი ამ კომპანიონ ცხოველს არ გამოუჩნდა პირვანდელი პატრონი, ხოლო კომპანიონ ცხოველთა საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრები უფლებამოსილნი არიან, ისარგებლონ მუნიციპალიტეტის პოპულაციის მართვის პროგრამით;

თავი V

კომპანიონ ცხოველთა იდენტიფიკაცია და რეგისტრაცია

მუხლი 19. კომპანიონ ცხოველთა იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის სავალდებულო მოთხოვნები

1. კომპანიონი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო პირველად რეგისტრაციას, იდენტიფიკაციას და ყოველწლიურ საკონტროლო რეგისტრაციას.

2. რეგისტრაცია ხორციელდება უსასყიდლოდ.

3. კომპანიონი ცხოველის მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია უფლებამოსილ ორგანოს მიაწოდოს კომპანიონ ცხოველთა აღრიცხვასა და იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია.

4. კომპანიონი ცხოველის პატრონი ვალდებულია კომპანიონი ცხოველის რეგისტრაციის მომენტისთვის, ან რეგისტრაციის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველის იდენტიფიკაცია სვირინგის, საერთშორისო სტანდარტების შესაბამისი სპეციალური საჭდით ან საყელურით, ასევე, ფრინველის დარგოლვა.

5. კომპანიონი ცხოველის მეპატრონე ვალდებულია უზრუნველყოს კომპანიონი ცხოველების მარეგისტრირებელი ორგანოს ინფორმირება, საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული კომპანიონი ცხოველის შთამომავლობის და მისი გასხვისების თითოეული ფაქტის შესახებ, ასეთი ფაქტების დადგომიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 20. კომპანიონ ცხოველთა ერთიანი რეესტრი

1. კომპანიონი ცხოველების რეგისტრაცია და ყოველწლიური საკონტროლო რეგისტრაცია ხორციელდება კომპანიონ ცხოველთა ერთიან რეესტრში კომპანიონი ცხოველის პატრონის განცხადების საფუძველზე და დასტურდება კომპანიონი ცხოველის სარეგისტრაციო მოწმობით, რომელიც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს.

2. კომპანიონი ცხოველების იდენტიფიკაციის, რეგისტრაციისა და ერთიანი რეესტრის შექმნის მიზანია:

ა) კომპანიონი ცხოველების რაოდენობის დადგენა, თვითოეულ მათგანზე ინფორმაციის მოძიება და აღრიცხვა, მათი მფლობელებისა და მათზე მზრუნველი პირების დადგენა/რეგისტრაცია;

ბ) კომპანიონი ცხოველებისგან ადამიანებზე გადამდები, განსაკუთრებით საშიში ვირუსული დაავადებების გავრცელების პრევენცია;

გ) პატრონის მიერ კომპანიონი ცხოველის მიტოვების პრევენცია;

დ) დაკარგული/ნაპოვნი კომპანიონი ცხოველების მოძებნა, მათი იდენტიფიცირება და პატრონისთვის დაბრუნება უფლებამოსილი ორგანოს მიერ;

3. პირველადი სავალდებულო რეგისტრაციისა და ყოველწლიური საკონტროლო რეგისტრაციის წინ კომპანიონ ცხოველებს უნდა ჩაუტარდეთ ყოველწლიური სავალდებულო იმუნიზაცია.

4. კომპანიონი ცხოველების რეგისტრაცია სავალდებულოა 2 თვის ასაკიდან. კომპანიონი ცხოველის პატრონის შეცვლის შემთხვევაში ხელახალი რეგისტრაცია კომპანიონ ცხოველთა ერთიან რეესტრში უნდა მოხდეს 1 თვის ვადაში.

5. მიკროჩიპი წარმოადგენს სპეციალური ინფორმაციის მატარებელ იმპლანტს, რომელიც შეიცავს უნიკალურ 15 ციფრიან კოდს, რომელის საშუალებით მონაცემთა ერთიან ბაზაში ასახულ იქნება ინფორმაცია კომპანიონი ცხოველისა და მისი პატრონის შესახებ. მიკროჩიპის ხარისხი და მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

6. კომპანიონი ცხოველის გარდაცვალების შემთხვევაში მეპატრონემ/მიმკედლებელმა/მზრუნველმა/დროებითმა შემფარებელმა ან მოკვდინების (ევთანაზიის) შემთხვევაში ევთანაზიის განმახორციელებელმა პირმა აღნიშნულის შესახებ, ერთი კვირის ვადაში უნდა აცნობოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოს, ინფორმაციის კომპანიონ ცხოველთა რეესტრში შეტანის მიზნით.

7. კომპანიონი ცხოველის დაკარგვის შემთხვევაში, კომპანიონი ცხოველის მეპატრონე/მიმკედლებელი ვალდებულია ერთი კვირის ვადაში შეატყობინოს უფლებამოსილ ორგანოს დაკარგვის ფაქტის შესახებ.

8. კომპანიონ ცხოველთა ერთიანი რეესტრის მონაცემებით სარგებლობა უფასოა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის;

თავი VI

ცხოველთა ორთაბრძოლების აკრძალვა და სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების მოვალეობები

მუხლი 21. ცხოველთა ორთაბრძოლები

1. დაუშვებელია ცხოველთა ორთაბრძოლების ორგანიზება და ჩატარება

2. პირი ჩადის დანაშაულს, თუ ეს პირი:

ა) ცდილობს მოაწყოს ან აწყობს ცხოველთა ორთაბრძოლებს;

ბ) შეგნებულად იღებს ფულს ცხოველთა ორთაბრძოლაზე დაშვების მიზნით;

გ) ავრცელებს ინფორმაციას ცხოველთა ორთაბრძოლების გამართვის შესახებ;

დ) საკუთარი ან სხვისი ცხოველით მონაწილეობს ცხოველთა ორთაბრძოლებში;

ე) წვრთნის და ამზადებს ცხოველებს ორთაბრძოლაში მონაწილეობისათვის;

ვ) იყენებს ან სხვას რთავს ნებას თავის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა გამოიყენოს ორთაბრძოლების მოსაწყობად;

ზ) შეგნებულად იღებს და ავრცელებს ცხოველთა ორთაბრძოლის ვიდეო და ფოტო გამოსახულებებს ან ინახავს მათ, შემდგომში მათი გავრცელების მიზნით;

მუხლი 22. სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტეთა ვალდებულებები

1. საქართველოს მთავრობა და მუნიციპალიტეტები კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ კომპანიონ ცხოველთა დაცვას.

2. ადრეული და სკოლამდელი საგანმათლებლო სახელმწიფო ორგანოები ადრეული ასაკიდან უნდა უზრუნველყოფდნენ მოქალაქეთა მიერ კომპანიონ ცხოველებზე დაკვირვების, მათი ქცევის გაგებისა და მათდამი ჰუმანურად მოპყრობის ცოდნისა და უნარ-ჩვევების დანერგვას;

3. მუნიციპალიტეტთა კომპეტენციის ფარგლებში:

ა) აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას და მოუწოდებენ მას კომპანიონ ცხოველებზე ზრუნვისკენ;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აკონტროლებენ კომპანიონ ცხოველთა მოვლის დადგენილ ნორმების დაცვას;

გ) ორგანიზებას უწევენ აქტივობებს, რომელთა მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში უპატრონო კომპანიონ ცხოველთა პოპულაციის მართვა, უპატრონო კომპანიონი ცხოველების პატრონებთან დაბრუნება;

დ) უფლებამოსილნი არიან მოაწყონ კომპანიონ ცხოველთა გასასეირნებელი ადგილები, სასაფლაოები და კრემატორიუმები, იზრუნონ მათ გამოყენებაზე;

ე) ასრულებენ ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

თავი VII

პასუხისმგებლობა

მუხლი 23. პასუხიმგებლობის საფუძვლები

1. პირის პასუხისმგებლობა კომპანიონ ცხოველთა დაცვისა და კეთილდეობისათვის ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევისა და ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის განისაზღვრება ამ თავით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლადარღვევათა კოდექსითა და სისხლის სამართლის კოდექსით.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება და სანქციის შეფარდება ხორციელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესებით.

3. უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელს ან მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

თავი VIII

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 24. გარდამავალი დებულებანი

1. 2018 წლის 1-ელ დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებმა განსაზღვრონ შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას.

2. 2018 წლის 1-ელ დეკემბრამდე მუნიციპალიტეტებმა უზრუნველყონ შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება, უფლებამოსილი სამსახურის გამართული ფუნქციონირებისათვის.

3. 2018 წლის 1-ელ დეკემბრამდე უფლებამოსილმა ორგანომ შეიმუშაოს კომპანიონი ცხოველების სარეგისტრაციო მოწმობის ფორმა, რეგისტრაციის, მიკროჩიპზე დასატანი ინფორმაციის, საკონტროლო რეგისტრირებისა და კომპანიონ ცხოველთა ერთიან რეესტრში შეყვანის წესი.

4. 2018 წლის 1-ელ დეკემბრამდე უფლებამოსილმა ორგანომ შეიმუშაოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კომპანიონ ცხოველთა მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის მართვის წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება კანონით განსაზღვრულ პრინციპებსა და სტანდარტებთან.

მუხლი 25. ძალაში შესვლა

1. ეს კანონი ამოქმედდეს 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილ